

საგზიელო

საერთოული გაზეთი შაბათი 7 მაისი 2005 №100 (2423)

ფასი 50 თეთრი

ავიატორიდან ერთი ცნობილია

გუშინ მეთოთხმეტე ეროვნული საკალათბურთო ჩემპიონატის პირველი ფინალისტი გამოვლინდა და იგი დებიუტანტი „თბილავიამშენი“ გახლავთ. ეს გუნდი ფორმალურად არის დებიუტანტი, რაკი წლეულს შეიქმნა, თორემ მისი მოთამაშეები ჩვენში კარგად ცნობილი და მრავალჯ ზის ჩემპიონი კალათბურთელები არიან. „ავიატორებმა“ მესამე, გადამწყვეტი მატჩის გარეშე მოიპოვეს ფინალის საგზური — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი ნახევარფინალური სერიის მეორე შეხვედრაშიც დაამარცხეს და ახლა ბოლო მეტოქეს ელიან. მეორე ფინალისტი კი ხვალ გამოვლინდება, რადგან თბილისის „დინამომ“ გუშინვე სერიის ანგარიში გაუთანაბრა „სტუჯეოსელს“ და კვირას გადამწყვეტი მატჩის ჯერია.



კლასიკო გრძელდება

კვირას
ზესტაფონში
სახლგაბი
დაცხარელები



ხვალ საირია!

სერია A:
მილანი
იუვენტუსის
ფინალგაბი




ტრაგიკული ვარაუდები ამერიკაში უაღრესდება



გურამ დულანავილის ფოტო

სვანურ სოფელ ეცერში ნაპოვნი გვამები ბოლო დღეების მთავარ ქართულ თემად იქცა. როგორც იცით, არის ვარაუდი, რომ ათზე მეტ გვამს შორის კახა კალაძის ძმის, ლევანის ნეშთიცაა. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ხელმძღვანელმა ლევან სამხარაულმა ამის თაობაზე ბრიფინგი გამართა, თუმცა ორიოდ სიტყვით შემოიფარგლა — გვამების დნმ-ანალიზი საქართველოში ვერ კეთდება და ამერიკაში ჩატარდება, რის შემდეგაც იდენტიფიკაციის შედეგები ცნობილი გახდება, თუმცა, როდის გაკეთდება ანალიზები, ჯერ უცნობია. ერთი კია, წინასწარი ვარაუდით, ეცერში ნაპოვნი ნეშთები სხვადასხვა დროს გარდაცვლილი ადამიანებისაა. ზუსტად კი ჯერ ვერავინ ვერაფერს ამბობს.



ტიმოფაის
გულახდილობა
ნანდროლონით
გაჭყვავილი
გულარუსის
აღსარება




ესპრის ტრაგედია ამერიკაში განაღვივება

სოფელ ეცერში გუშინწინ ნაპოვნ გვამებს შორის არის თუ არა კახა კალაძის ძმის, ლევანის ნეშტი, ჯერ ისევ უცნობია. შესაბამის სამსახურებს ამ კითხვაზე პასუხი არ აქვთ და მხოლოდ ვარაუდებს გამოთქვამენ.

გუშინ სასამართლო ექსპერტის ეროვნული ბიუროს ხელმძღვანელმა ლევან სამხარაულმა სწორედ ამ ამბის თაობაზე ბრიფინგი გამართა, მაგრამ დიდად საინტერესო ვერაფერი თქვა:

— ჩემი ინფორმაცია ამომწურავი ვერ იქნება. გეტყვით მხოლოდ იმას, რომ ეცერში ნაპოვნ სამარხში აღმოჩენილია ათზე მეტი ადამიანის ნეშტი, რომლებიც სხვადასხვა დროს არიან გარდაცვლილნი, ხუსტად როდის, ეს ჯერ უცნობია. საქმეში ჩართულნი არიან ანთროპოლოგებიც და მათი დახმარებით შევძლებთ გვამების ხანდაზმულობის დადგენას. იდენტიფიკაციის შედეგები კი დნმ-ს ანალიზების შემდეგ გვეცოდინება. ზოგიერთ გვამზე სხვადასხვაგვარი დაზიანებები აღინიშნება.

ლევან სამხარაულის თქმით, გვამების დნმ-ანალიზი საქართველოში ვერ კეთდება და ამერიკაში უნდა გადაიზაფაროს. როდის გაკეთდება



მედიკოსი ლევან სამხარაული

ანალიზი, ექსპერტის ბიუროს ხელმძღვანელმა ჯერ ვერ თქვა. შევახსენებთ, კახა კალაძის ძმა, ლევანი 2001 წლის 23 მაისს გაიტაცეს და სანაცვლოდ ოჯახისგან ნახევარ მილიონამდე დოლარი მოითხოვეს. მას შემდეგ ნაირგვარი ჭორი იყო, ლევან კალაძე გათავისუფლებულია და ძმასთან მილანშიაო, ლევან კალაძე გატაცებიდან რამდენიმე დღეში უკვე ოჯახში დაბრუნდაო, მაგრამ...

კობა ინასარიძე

ინგლისელებმა, მანჩესტერისკო

გუშინწინ მოძიარო ამბების მერე კახა კალაძის, უფრო ზუსტად კი, მის ძმის, ლევანის სახელი განსაკუთრებულად აქტუალური გახდა. მესტიის რაიონის სოფელ ეცერში აღმოჩენილ რვა გვამს შორის ერთ-ერთი შესაძლოა, სწორედ ლევანისააო, ითქვამს და ასეთი მტკივნეული თემის მერე ფეხბურთზე და, მით უმეტეს, ტრანსფერზე წერა, ცოტა არ იყოს, უხერხულია.

მაგრამ ცხოვრება ცხოვრებაა, გაზეთი გაზეთია და, შევეცდებით, შეძლებისდაგვარად მშრალი ინფორმაცია მოგაწოდოთ კახა კალაძის ტრანსფერის თაობაზე — ინგლისური მედიის ცნობით, „ჩელსის“ გარდა საქართველოს ნაკრების კაპიტნის გადაბირებით „მანჩესტერ იუნაიტედის“ დაინტერესდა.

ვერ გეტყვით, რამდენად რეალურია ეს ინფორმაცია, თუმცა ინგლისელი ჟურნალისტები ამთავითვე ამბობენ, „მანჩესტერის“ სურვილი ერთია და „ჩელსის“ ჯიბე მეორეო. თანაც ლონდონელებს კოზირი უჭირავთ — ისინი კალაძის სანაცვლოდ უნან კრესლოს დათმობაზე თანახმანი არიან.

კახა ზალაგაბერიძე



საქართველოს XVI ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
მეორე ეტაპი
32 ტურში

ხვალ ნაშუადღევს
ზესტაფონში კვლავ
დაცარიელდება სახლები.
იქ ლოზუნგი — „ყველანი
სტადიონზე“ — არავის
სჭირდება, დიდიან-
პატარაანად ყველამ იცის,
რომ 10-ათასიანი
სტადიონი უნდა
გადაიჭედოს და ხმის
იოგები უნდა დაიწყებოდნენ.
ასეა, ფეროელები ლიდერ
„დინამოს“ მასპინძლობენ,
რომელსაც წლეულს ჯერ
თასზე მოუგეს, მერე კი
ჩემპიონატში. ჰოდა, თუკი
ნინა ტურში „დინამო“ —
„ტორპედოს“ „კლასიკო“
დავარქვით, „ზესტაფონი“
— „დინამო“ ვითომ ნაკლებ
ეპითეტს იმსახურებს?!

თბილისი. 8 მაისი. 17 საათი. მიხეილ მისხი

ლოკომოტივი — კოლხეთი

მსაჯამი: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); ი. აფციაური (დუშეთი); ნ. რუსიშვილი (ქუთაისი);
ლ. სილაგავა (თბილისი); ინსპექტორი: ა. მილჩენკო

თბილისი. 8 მაისი. 17 საათი. ტორპედო

ტორპედო — დილა

მსაჯამი: ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედიო); ზ. ხუციშვილი;
ა. კრიჭიაშვილი (ორივე თბილისი); ინსპექტორი: ა. დურსუნიშვილი

ზესტაფონი. 8 მაისი. 17 საათი. ცენტრალური

ზესტაფონი — დინამო

მსაჯამი: მ. მალაღურაძე (თბილისი); ლ. მიქელაძე (სამტრედიო); მ. ელიკაშვილი (თბილისი);
ზ. ანიაშვილი (გორი); ინსპექტორი: გ. ძამუკაშვილი

თბილისი. 8 მაისი. 17 საათი. ოლიმპი

თბილისი — ბათუმი

მსაჯამი: ა. მემკვიცი; მ. ურუშაძე; ზ. ჯვარიძე (სამივე თბილისი);
ა. ორდინიძე (ონი); ინსპექტორი: ა. ბარკაია

მცხეთა. 8 მაისი. 17 საათი. პრეზენტი

პრეზენტი — სიონი

მსაჯამი: ა. შილაგავა (თბილისი); გ. ცირცია (გულრიფში); ზ. მენთეშაშვილი;
ლ. ფანიაშვილი (ორივე თბილისი); ინსპექტორი: მ. ჭელიძე

კლასიკო ბრძელდება კვირას ზესტაფონში სახლები დაცარიელდება

ზესტაფონელებისთვის ამ თამაშის მოგება სატურნირო თვალსაზრისით არაფერს ნიშნავს, მაგრამ ადრეც ვთქვით, რომ „კლასიკო“ ცხრილში არ იყურება — სამ თვეში „დინამოს“ სამჯერ წაქცევა რაღაც უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ მოგება. კახა კალაძის გუნდი ექსკლუზიური პანდიაკაით კი ლიდერობს, მაგრამ მდევარ „ტორპედოს“ მასზე უკეთესი კალენდარი დარჩა და ქულების უპრაგონოდ განიკვება „დინამოს“ ინტერესებში ნაღდად არ შედის. ერთი შეხედვით: „ზესტაფონმა“ სამიოდ დღის წინ დამქანცველი 90 წუთი ჩაატარა „თბილისთან“ და ვინძლო, ხვალ მასპინძლები ქორფად ვერ იყვნენ. თანაც იმერლებს დისკვალიფიცირებული ზაზა ზირაქიშვილი დააკლდა, რაც იმას ნიშნავს, რომ თემურ მახარაძე ერთი ფორვარდით ითამაშებს. ეს ერთი კი მეგობრულ ზურაბ იონანიძეა, რომელსაც „დინამოს“ გამწარება არასოდეს ეთაკილებოდა. „იონა“ და კიდევ რამდენიმე ექსტორპედოელი „დინამოს“ დამუხრუჭების შემთხვევაში თავიანთ ყოფილ კლუბს დაასაჩუქრებენ.

შევთანხმდეთ, ტურის ეპიცენტრი ზესტაფონია. ამიტომაც ნუ გვიწყენთ, თუ სხვა მატჩებს ზერეულდ შეგვხვებით: „ტორპედო“ სულთმობრძაე „დილას“ დაუხვდება და ისე უოფლოდ მოუგებს, როგორც დაგიბარებიათ. საკითხავი ისაა, რამდენს გაიტანს გია მეგრელაძე — დინამოელ ლევან მეღვინეს ხომ სწორედ იგი ევიბრება ბომბარდირობისთვის.

„ტორპედოსათვის“ გაისეირნებს მესამეადგილოსანი „თბილისი“. ლუის ცაკარიასის ბიჭებს, ალბათ, ბათუმელი ბავშვები ესტუმრებიან. საქმე ისაა, რომ უპატრონოდ და უხელფასოდ დარჩენილი „ბათუმი“ დედაქალაქში ჩამოსვლას არ აპირებს, მათმა თავკაცმა ნუკრი გოგიტიძემ კი გვითხრა, შესაძლოა, რეგიონალური დანაშაულებით ჩვენი ფარმკლუბის ბავშვები და ისინი ვათამაშოთო. ეს კი არა, მათი ჩამოსვლაც კი, ანუ „თბილისი“ — „ბათუმის“ მატჩის გამართვაც სათუთა...

სამაგიეროდ, აუცილებლად ჩამოვა თბილისში კიდევ ერთი გაღატაკებული და რეანიმაციაში მყოფი „კოლხეთი“, მაგრამ ფოთში ხელხვედრად დაბრუნების იმედი არ უნდა ჰქონდეს. მისი მეტოქე „ლოკომოტივი“ ისეთ ფორმაშია, წლეულს წაგება არ უგემა და მერე ადვილზე გასვლას ეშურება. კოლხები უმაღლესი ლიგიდან არასდროს გაეარდნილან, ახლა კი საქმე სწორედ აქეთ მიდის — სერგო გაბელაიას გუნდი ბოლოსწინა ადვილზეა და ორი ქულით ჩამორჩება „სიონს“.



ილია კანდელაკის „დინამო“ ვალტერ გუჩუას „ზესტაფონთან“ წლეულს ორჯერ დაბრუნდა

თავის მხრივ, ბოლნისელებს შედარებით ხელსაყრელი მეტოქე ჰყავთ „ვიტ ჯორჯიას“ სახით. ვიტელებისთვის სეზონი უკვე დამთავრდა, მარმანდელი ჩემპიონები მეექვსე საფეხურზე გაიჭენდნენ და, ჰა-ჰა, მეხუთეზე თუ აღწევდნენ. ასე რომ, საკმაო შანსია, წინა ტურში მსაჯებზე გამწარებულმა „სიონმა“ ჰაერივით საჭირო ქულები მოინადიროს.

ილია ნანობაშვილი

დინამო	31	20	4	7	64:27	64
ტორპედო	31	16	10	5	49:26	58
თბილისი	31	17	6	8	51:35	57
ლოკომოტივი	31	14	13	4	36:19	55
ზესტაფონი	31	14	4	13	32:42	46
პრეზენტი	31	12	9	10	49:33	45
ბათუმი	31	8	12	11	32:26	36
სიონი	31	9	4	18	28:52	31
კოლხეთი	31	8	5	18	26:48	29
დილა	31	2	3	26	16:75	9

Table with 8 columns (Time, ID, Name, 1, X, 2, 1-X, 1-2, X-2) containing data for various categories and events.

Table with 8 columns (Time, ID, Name, 1, X, 2, 1-X, X-2) continuing data from the previous table.

შპს ბარშვილი (შპს. ბრ)

Table listing various items and their corresponding values, organized in three columns.

I ტაბლის შედეგი

Table with 6 columns (ID, Name, 1, X, 2, 1-X, 1-2, X-2) providing a summary of results.

ტოტოს რობანი

წლეულის ფეხბურთში კერძოფერით და „რობას“ ლიდერს, ფრანსუესკო ტოტის ჩოგანი დაუჭერია ხელში. სინამდვილეში კი იტალიის დიამანტის მონაწილეობა იწყება და ტოტა სარეკლამო თამაშში მონაწილეობს.




ეროვნული
თეატრი

მოსურავე პოდიუმზე

სიდნეიში ფეშენ შოუ მიმდინარეობს და ავსტრალიელი დიზაინერის ამბერ რენის ვოგოებს წინ განთქმული მოცურავე, ჯეფ ჰიუჯილი მიუძღვის. ეს საიუბილეო, შეათე შოუა და ბარე ასი კუტურიე აჩვენებს თავის გამონახვას.

მალხაზები

ახე ვარჯიშობენ ისეთიველი ჯარისკაცები ბანგალორის ბანკში, მსულ მალე ჯარის სისუფრეებელი ფესტივალი „იცნობდე შენს არმიას“ დაიწყება და ჯარისკაცებიც ძალიან მონდომებულნი არიან. საზოგადოება, რაბაც ფოტოსზე ხედავთ, უძველესი ინდური თამაშ-ვარჯიშობა, რომელსაც მალხაზში პევია.



ზიგო

ეს საფეხბურთო ფესტივალი შეუქმნია დიზაინერ კონ პაცილიასს, რომელსაც სულ სვანგებო ნაჭდევი დაუტანია ბუცზე. ეს ნაჭდევი წინასწარ გამოთვლითაა დატანილი და იმ წერტილებშია, რომლებიც ყველაზე ხშირად ეხება ბურთს. ფესტივალს ზიგო პევია და ახლა ტესტირებას გადის.



AFP მეტაბურინდან



AFP მეტაბურინდან

ბეჭდის საპარსი

დევიდ ბეჭდის საპარსი — ეს ბეჭდის მეტროსთივისაც ჩვეული იყრია. მესამე წელიწადია, ბეჭმა ყველაზე მაღალშეფასებულია ფეხბურთელია მსოფლიოში — წელიწადში 25 მილიონ ევროს შოულობს. მეორე და მესამე მისი მადრიდელი თანაგუნდელები რომალოდ და ზინედინ ზიდანი არიან.

<p>სარბიელი საორტული გაზათი</p> <p>გააოიცივა 1990 წლის 28 დეკემბრიდან</p> <p>გააოლის ორგანათს, სამგაბათს, ოთხგაბათს, ხუთგაბათს, პარასკეპს ლა შაბათს</p>	<p>გამომცემელი ზურაბ ჳოცხვერია დირექტორი ბიორბი ოპრომჭაქლიძე მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი რედაქტორი თამაზ მიბრიაული პასუხისმგებელი რედაქტორი აშოანლილ გურასაშვილი ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბაშვილი</p> <p>ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალაბუჯიძე უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახუციანი, გიორგი დარჯანიას, გიორგი ვაშაქიძე, ხოსო კოტორეიშვილი, ლადო ხიმქიაკი, ვაჟა ხუციშვილი</p>	<p>ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაპლი შირაშვილი ინფორმაციის რედაქცია გააახლდას ლეკან კვლავაძე ოთარ მალაქვილიძე არაკლი პერტაია ფოტორეპორტიორები: გურამ დოღუნჯაშვილი, ბადრი კვიციანი სტილისტები: ნათელა ვიორგოზიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი: ლია ბუხელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე კვლევტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვლიშვილი, მაგლა დოგრაშვილი, ზვიად მისიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე თამარ ქინქლაძე ზურაბ წერეთელი</p>	<p>რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29 ელექტრონული ფოსტა sarbili@gol.ge ელექტრონული ვერსია http://www.sarbili.com.ge</p>
--	---	---	---